ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135.135220907**
თარიღი:**31/03/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების აღნაგობის უფლებით სს „ნენსკრაჰიდროსთვის“ გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლისა და სს „ნენსკრაჰიდროს“ 26.11.2021 წლის N242/2021 (რეგ. N2016) და 17.03.2022 წლის N028 (რეგ. N10/134220772-10) საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.COVID-19 გლობალური პანდემიით ქვეყანაში გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გათვალისწინებით, მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, უსასყიდლოდ, აღნაგობის უფლებით, ხელმეორედ, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს სს „ნენსკრა ჰიდროს“ (ს/ნ: 405112220) მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე დანართი №1 - ით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 50 (ორმოცაათი) ერთეული მიწის ნაკვეთი.
2.მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი